

1960

რესპუბლიკის ზოგიერთ სოფელში წელი ტემპით მიმდინარეობს აბანოების მშენებლობა, ზოგჯერ კი არადანიშნულებისამებრ იყენებენ არსებულ აბანოებს. წალენჯიხის რაიონის სოფელ ფახულანის კოლმეურნეობამ დიდი მზრუნველობა გამოიჩინა ისეებისადმი და ტიპიური პროექტით აგებული აბანო დაუთმო.

ნან. ა. კანდელაკისა

ქართული
ბიბლიოთეკა



№ 14 თბილისი ივლისი 1960



ბაზოცემის XXXVIII წელი, ფასი 2 ჰან.

— კიდევ იტყვი, კვამლი იხვიუვილო, ჩვენზე არ ზრუნავენო?
ხალხმა საკუთარი აბანოც კი დაგვითმო!

ნ. კანდელაკი



სახლში მიზნისკენ!

ნიკოლაიშვილი
ნიკოლაიშვილი

— დავიღალე, საღამოს სახლში მობრძანდით და იქ აღმოგიჩნით საჭირო დახმარებას.— ასე ანუგეშა ქუთაისის 1 საავადმყოფოს ექიმმა ოფთომოლოგმა ტარასი ნიკოლაიშვილმა სამკურნალოდ მისული ნორა კუხიანიძე.

საღამოს «დაღლილმა» ექიმმა იმდენი გულკეთილობა გამოიჩინა, რომ ბინაზე მოსულ პაციენტს 100 მანეთი გადაახდევინა გასინჯვისათვის და დაუდასტურა ქუთაისის № 3 პოლიკლინიკის ოფთომოლოგ კილაძის მიერ დასმული დიაგნოზი— კისტა მარჯვენა თვალის გარეთა კუთხის ლორწოვან გარსზე.

ექიმის ოპერატიულობაზე ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ ავადმყოფი მეორე დღესვე დაიბარა საოპერაციოდ თავის საკუთარ სახლ-საავადმყოფოში და აქ ამოკვეთა კისტა. უფრო სწორად, ოპერაცია ძირითადად მისმა ქალიშვილმა ექიმმა— ნეეროპათოლოგმა მედიკო ნიკოლაიშვილმა ჩაატარა. ეს არც გასაკვირია, რადგან ის დიდი ხანია ირიცხებოდა მამის სახლ—საავადმყოფოს შტატში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა თვალის სხვადასხვა სახის ოპერაციების გაკეთებაში. მამა-შვილის მამაშვილური დახმარება მხოლოდ 500 მანეთი დაუჯდა ავადმყოფ ნორა კუხიანიძეს. რა იცოდა მან, რომ ამ უხეიროდ გაკეთებული ოპერაციის შემდეგ ცალი თვალის მხედველობას 50 %-ით დაკარგავდა და თვეების

მანძილზე უშედეგოდ მოუხდებოდა სამკურნალოდ სიარული თბილისსა და ოდესაში.

თვალის ექიმი ტარასი ნიკოლაიშვილი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ხალხს თვალი აუხვიოს. შავი თეთრად მოაჩვენოს და თავი დაიძვრინოს (ვინ იცის მერამდენედ!) პასუხისმგებლობისაგან. მაგრამ ფაქტები ჯიუტია და არ ემორჩილებიან ნიკოლაიშვილის მიერ სხვადასხვა პირთა საამებლად რესტორნებში გამართულ ქეიფებსა და პურ-მარჩის.

ქუთაისის ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგის ა. მ. შ. დანელიას მიერ გაცემულ ოფიციალურ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ნორა კუხიანიძეს, სანამდე ექიმი ტარასი ნიკოლაიშვილი ოპერაციას გაუკეთებდა საკუთარ «კლინიკაში», ორთავე თვალის მხედველობა ჰქონდა ნორმალური, ხოლო, ოპერაციის გაკეთებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ავადმყოფმა იგრძნო მარჯვენა თვალზე სიმშრალე და სინათლის დაკლება.

ამ დოკუმენტში ვკითხულობთ: «5 მარტს და განმეორებით 7 მარტს ავადმყოფი შემოწმებული იქნა ექ., ოფთომოლოგის ზუმბულიძის მიერ, რის შედეგადაც დადასტურდა: მხედველობა მარჯვენა თვალისა უდრის 0,5 (ხუთი მეათედი), მხედველობა მარცხენა თვალისა 1,0 (ერთი მთელი). მარჯვენა თვალის გარეთა კუთხის მიდამოში ნაწიბური სიგრძით ორ სანტიმეტრამდე. აქვეა ლორწოვანი გარსის ქვეშ ოპერაციის შედეგად დარჩენილი მოკვეთილი წამწამი. რქოვანი გარსის ქვედა ნახევარზე ზერულე შემღვრევა. მარცხენა თვალი ნორმის ფარგლებშია».


ავადმყოფი ნ. კუხიანიძე მიმდინარე წლის 7—18 აპრილამდე მკურნალობდა თბილისის 1 კლინიკურ საავადმყოფოს თვალის განყოფილებაში. საქართველოს სსრ ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის თვალის სნეულეზბათა კათედრის დასკვნაში მის შესახებ აღნიშნულია, რომ ავადმყოფობა გამოწვეულია «მარჯვენა თვალის მშრალი კერატიკონიუკტივიტის გამო, რომელიც განუვითარდა 1961 წლის 24/1 ქუთაისის რაიონში მარჯვენა თვალის ლორწოვან გარსზე გაკეთებული (კისტის ამოკვეთა) ოპერაციის შედეგად. კლინიკაში ჩაუტარდა ყველა სახის ზოგადი გამოკვლევა, მკურნალობა. გაუმჯობესება არ იქნა მიღებული. კლინიკას მიაჩნია აუცილებლად ავადმყოფი კუხიანიძე ნ. გაგზავნოს ქ. ოდესაში ფილატოვის სახ. ოფთომოლოგიურ ინსტიტუტში საკონსულტაციოდ».

ავადმყოფი ნ. კუხიანიძე სამკურნალოდ გაემგზავრა ოდესაში, მაგრამ ის, რაც ექიმმა ტარასი ნიკოლაიშვილმა გააფუჭა თავის სახლ-საავადმყოფოში ჩატარებული ოპერაციის დროს, გამოუსწორებელი აღმოჩნდა ოდესასა და თბილისში. ავადმყოფი ნ. კუხიანიძე ექვსი თვეა ცალ თვალში ნახევრად სინათლედაკარგული დადის და მოითხოვს, რომ სათანადოდ დასაჯონ ექიმი ტ. ნიკოლაიშვილი, რომელიც სამსახურს მხოლოდ იმისათვის იყენებს, რომ თავისი სახლის მისამართი მისცეს პაციენტებს და იქ ორმაგი ტყავი გააძროს მათ.

დროა სათანადოდ დაისაჯოს ავადმყოფთა ხარჯზე გამდიდრების წყურვილით შებყრობილი ექიმი ტ. ნიკოლაიშვილი. ასეთი ადამიანები სახელს უტეხენ მედიცინის მუშაკთა ღვაწლმოსილ არმიას, რომელიც უნაგაროდ ემსახურება საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის კეთილშობილურ საქმეს.

ნ. ნუკრიძე.

ნახ. ზ. ლეჟავასი



— ხარნაბ კალისტრატოვიჩ, მართალია ჯერ სინათლე არ გამოიხვეანია, მაგრამ, სამაგიეროდ, ისეთი ლამპიონები დაედგით, რომ კაცი თვალს ვერ აუწვდენს!




მოდას შეგუებული თაყვანისმცემელი



პრაქტიკული წინადადება

ქალაქის ტრანსპორტის ყველა კონდუქტორს თითზე შევაბათ შავი ძაფი, რომ ხურდა ფულის მოცემა არ დაავიწყდეს.

ქ ვ ა ჭ ი ქ ვ ა ჭ ა ნ გ ი რ ა ქ ე



ანა ხაჩიძე გაბრუნებული დაბრუნდა მოსკოვიდან.

— ეს რა ქალი გავიცანი, რა ქალი! ანგელოზია ნამდვილად, ახალგაზრდა, ლამაზი, გულკეთილი, განათლებული, პროფესორის ცოლია, თვითონაც ლექტორია, რიგაში ცხოვრობს, მისთვის ყველა კარი ღიაა, ვის გინდა, რომ არ იცნოს, რა საქმეა, მან რომ არ გააკეთოს. ნეტავი ერთი გაჩვენათ, თვალს ვერ მოწყვეტ. მერე და როგორ გავიცანი, შემთხვევით, ფოსტა—ტელეგრაფში, თან გადაწყვა, ვილაცა გენერლის ცოლი გამაცნო და მასთან მიმიყვანა, საუზაპრო პატივი მცა, ეგ კიდევ არაფერი, მალე ინსტიტუტშიც მომავწყობს, — ქაქანებდა აღტაცებული ანა.

... და თელავის რაიონში «კეთილი ანგელოზის» სახელი დაუფარდა ელეონორა ჩიჩლაძეს. გადიოდა დღეები, და აი გასული წლის ამ სექტემბერს, «კეთილი ანგელოზი» თელავის რაიონის სოფ. ლალისყურს ეწვია სტუმრად. — მისი მასპინძელი ანა ხაჩიძე მეფიდე ცას მისწვდა სიხარულით როგორც ყველგან — ასევე ლალისყურშიც მოინახა აბითურიენტი და დაიწყეს «ელეონორა ყოვლისშემძლის» შეწყობა. ბოლოს და ბოლოს სერო მეტაბურმა მოახერხა ელეონორასთან უმაღლეს სასწავლებელში მოწყობაზე ჩამოეგდო ლაპარაკი.

— ოღონდაც ჩვენს შვილებს სტუდენტის სახელი დაერქვათ და, თავს ვერ დაგზოვავ. რაცა მაქვს, ყველაფერს მაგ საქმეს შევადევ.

— რა მოხერხებული ქალი ხართ, სერო დეიდა, რა მალე დამითანხმეთ, კარგი ბავშვები კია იზოლდა როსტომი, ცოდვია, ეგენი არ სწავლობდნენ უმაღლესში. ყველაფერს გავაკეთებ მათთვის, რა ვქნა, ძალიან მიყვარს ახალგაზრდობა, საუკეთესო უმაღლესში მოვაწყობ... მხოლოდ... აი... ხომ იცით... მეუხერხულება თქმა. — ასე მგონია, ეგ ფული მე უნდა ჩავიდო ჯიბეში... რა ეშმაკი ხართ, სერო დეიდა, როგორ დამითანხმეთ... ბოლოს და ბოლოს, მართო ფულზე ხომ არაა ლაპარაკი...

მართლაც ბევრი ლაპარაკი არ ყოფილა და სერომ «მოახერხა» ელეონორასათვის ფულის დასტები გადაეთვალა.

— ახლა კარგ ფოტოგრაფს გადააღებინონ შენმა შვილებმა სურათები, მალე სტუდენტობისათვის გამოადგებათ.

— აგრემც შენ გაიხარე, როგორც მე გამახარე, სულ ჩვენს ანას უნდა უმადლოდე, ეგ რომ არა, აბა შენ თავს ვინ გამაცნობდა.



რამდენიმე დღეში ელეონორამ დასტოვა ლალისყური და ახლა თბილისში ჩამოვიდა, სადაც მას ანამ თავისი მოგვარე, დავით ხაჩიძე გააცნო, რომელსაც სტუმარმა ხის საწოლების შოვნა აღუთქვა.

— ცოტას გავწვალდები, მაგრამ, რას ვიზამ, რახან რიგაში ვცხოვრობ, ასეთ საქმეზე დაზარება არ მეპატიება. რა ფერის გინდათ? მუქი? ვეცდები! ეგ, არა, ანა, შენი ნაცნობებისათვის ვყოფილვარ გაჩენილი.

მაგრამ ელეონორა ჩიხლაძე მართო ანას ნაცნობებისთვის არ დაბადებულა, იგი ყველას უწყვიდა მფარველ ხელს:

თამარ ლორთქიფანიძე — მესხს დისშვილის მოწყობას შეჰპირდა, ქუთაისელი მარო კვიციანი დააიხმედა შენი ქალიშვილი ლიანა მალე ინსტიტუტის კარებს შეაღებოს, ასევე გააცურა ყინულზე გორელი ელგუჯა და ნიკოლოზ არჩუაძეები, ხოლო მათ ბიძას, ცაცკო ტატანაშვილს, უბრალოდ დაესესხა, მჭირდება და ხელი შემიწყვეთ.

წყალტუბოდანაც არ დაბრუნებულა ელეონორა დავალებების გარეშე. დიმიტრი ხუციშვილს შეჰპირდა «ვოლგას» გიშონიო და ისიც აუცილებლად შავი ფერისასო. არც ლუბა გელაშვილი გაუწილებია. შენ კი, ჩემო ლუბა, ისეთ პიანინოს გამოგიგზავნი, რომ მსგავსი არსად არ გენახოსო. ელეონორამ არც თავისი ნათესავი ცაცა ჩიხლაძე დასტოვა გულნაკლულად: ბავშვს ხომ აუცილებლად მოგიწყობ და სერვანტსაც გამოგიგზავნიო.

ელეონორა კი მოჩვენებასავით გაპქრა მოქმედების არენიდან და საქართველოში დატოვა დაიმედებული ადამიანები. მაგრამ მათაც მალე გაუწყდათ მოთმინების ძაფი და რიგაში წერილები წერილებზე აფრინეს. ელეონორა ჩიხლაძე გულს არავის უტებდა და საპასუხო წერილებს გაზავნიდა. საწოლი მუქი არ შემხვდა. პიანინოს ერთი ნოტის ტონალობა რალაც არ მომწონსო. «ვოლგა», შავი თუ არ იქნა, ისე როგორ გამოგიგზავნიო, თქვენი ბავშვების ატესტატიც გამოგიგზავნეთ, მეც მალე ჩამოვალ და გინახულებთო.

და მართლაც, ელეონორა, დიდი ხნის ცდის შემდეგ, ინახულეს მისი ნახვის მონატრულებმა, მათი შეხვედრის ადგილი სასამართლოს დარბაზი იყო. სადაც საბრალდებულ სკამს თაღლითთა დედოფალივით ამშვენებდა ელეონორა ჩიხლაძე. პროკურატურის ძიების მასალებში კი მრავალმეტყველად დალაღებდა ნიხრივით ჩამოწერილი სოა:

- მეტეაბური სერო — 41 ათასი მან.
- ხაჩიძე დავითი — 5 ათასი მან.
- ლორთქიფანიძე — მესხი თამარ — 13 ათასი მან.
- არჩუაძე ელგუჯა — 12 ათასი მან.
- არჩუაძე ნიკოლოზ — 7 ათასი მან.
- ტატანაშვილი ცაცკო — 9 ათასი მან.
- ხუციშვილი დიმიტრი — 43 ათასი მან.
- გელაშვილი ლუბა — 6 ათასი მან.
- ჩიხლაძე ცაცა — 4 ათასი მან.
- ...სულ... ეს მიამიტობა, გულუბრყვილობა, თუ დოკლაპობა უდრის 140 ათას მანეთს.



კონკურსის შედეგები

მიმდინარე წლის პირველი მარტიდან ჟურნალ «ნიანგის» რედაქციამ გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო სატირულ და იუმორისტულ ნაწარმოებებზე.

«ნიანგის» სარედაქციო კომისიამ შეაჯამა კონკურსის შედეგები. სამი თვის განმავლობაში საკონკურსოდ შემოვიდა სატირული და იუმორისტული მოთხრობები, პამფლეტები, ფელეტონები (დაწერილი ლექსად და პროზად) საერთო რაოდენობით 91, აგრეთვე 12 თემა კარიკატურისათვის.

აღნიშნული ნაწარმოებები განხილული იქნა პრემიების მისანიჭებლად. კომისიამ არც ერთ სატირულ და იუმორისტულ მოთხრობას, პამფლეტს და ფელეტონს არ მიანიჭა პირველი პრემია. ჯილდო არ მიენიჭა აგრეთვე კარიკატურისათვის წარმოდგენილ თემებს.

პრემიები მიეკუთვნათ:

მეორე პრემია გურამ ფანჯიკიძეს ფელეტონისათვის «ოჯახური დიპლომატია»

მესამე პრემია: კუკური გოგიაშვილს — ფელეტონისათვის «სტუმრად ბიძაჩემთან»;

გალაქტიონ მახარაძეს — ფელეტონისათვის «გასაჭირი»;

რეზო მიშველაძეს ფელეტონისათვის «სადაც არის ბედი შენი»;

როზა ფეიქრიშვილს — ფელეტონისათვის — «ამბავი, რომელიც ამ საფეხბურთო სეზონში მოხდება» და

გურამ შარაშიძეს — ფელეტონისათვის «რეგლამენტი», სარედაქციო კომისიამ, გარდა ამისა, დასაბუთებულად მოიწონა 13 ფელეტონი და ერთი თემა კარიკატურისათვის.

კონკურსის შედეგად დაჯილდოებული და დასაბუთებულად მოწონებული მასალები თანდათანობით გამოქვეყნდება ჟურნალის ფურცლებზე. ამჟამად ვბეჭდავთ რამდენიმე ფელეტონს და თემას.

სანამ ცოლს შევირთავდი, სახლში მხოლოდ საქმელად და დასაძინებლად მოვდიოდი. ახლა კი სულ სახლში ვარ და თანდათან ვერკვევი საოჯახო დიპლომატიაში. ფინანსურ და უმღელესი განათლების საკითხს მთლიანად მამაჩემი განაგებს. იგი ეკონომიური თვალსაზრისით კარგად უძღვება ოჯახს და წარმატებით ხელმძღვანელობს შვილების უმაღლეს სასწავლებელში მოწყობას. საშუალო განათლების საქმეს ბებიჩემი ხელმძღვანელობს. ხოლო საგარეო საქმე მთლიანად დედაჩემსა აქვს მინდობილი.

მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ვიწროდ ვცხოვრობთ, არ ვიკლებთ თანამედროვე ტექნიკის არც ერთ მიღწევას: ოჯახში ყველანი ძალზე პრინციპული ადამიანები ვართ და ერთმანეთისათვის დათმობა არა გვჩვევია, სწორედ ამიტომაც, რომ საღამოობით ერთდროულად მუშაობს რადიოც, ტელევიზორიც და მაგნიტოფონიც. რადიო ყველაზე უფრო მამაჩემს უყვარს, ტელევიზორი — დედას და ბენიას, მაგნიტოფონით კი მე და ჩემი ძმა ვერთობით. ჩემი მეუღლე ჯერჯერობით ოჯახის ახალი წევრია და გარკვევით არ ჩამოუყალიბებია თავისი პოზიცია.

მეზობლები ძალზე წუხდებიან ამ კაჟაფონით, მაგრამ ჩვენ მტკიცედ ვიცავთ ოჯახურ სუვერენიტეტს და ვერ ბედავთ ჩვენს საშინაო საქმეებში ჩარევას. გარდა ამისა, დედაჩემი მტკიცედ იცავს სამშვიდობო პოლიტიკას და მეზობლებთან კარგი დამოკიდებულება გვაქვს.

მაგრამ ერთ დღეს სამზარეულოში მომწიფდა კონფლიქტი. სამზარეულო ჩვენს გარდა ეკუთვნოდა კიდევ ორ ოჯახს. ერთმა მათგანმა სამზარეულოში გამოიტანა მაცივარი, რამაც ფართობის შემცირება გამოიწვია. მალე, მისი მიზაძვით, სამზარეულოში გაჩნდა მეორე მეზობლის მაგიდა.

ეს კი დედაჩემმა ვეღარ მოითმინა და ორთავე მეზობელს გაუგზავნა საპროტესტო ნოტა, სადაც ითხოვდა სამზარეულოში ძველი რეჟიმის აღდგენას.

როცა ამით არაფერი გამოვიდა, დედაჩემმა სცადა ძალის პოზიცებიდან აღედგინა ძველი მდგომარეობა. ვითარება ძალზე დაიძაბა. ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გამოიყო კომისია. საქმემ მიიღო პრინციპული ხასიათი და დათმობაზე წასვლას არავინ აპირებდა. მაშინ კომისია იძულებული გახდა სამზარეულო გაეყო სამ ნაწილად. გაავლეს სადემარკაციო ხაზები და შეიმუშავეს წესდება, რომლის მიხედვითაც ოჯახის წევრებს სასტიკად ეკრძალებოდათ სხვის ზონაში გადასვლა.

ერთ დღეს დედაჩემმა შენიშნა, რომ მეზობლის ბავშვი ერთი მეტრის მანძილზე შემოიჭრა ჩვენს ზონაში. ვინაიდან ჩვენს შორის დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვეტილი იყო, საპროტესტო ნო-

ტა საზღვრის დამრღვევის ოჯახს გავეუგზავნეთ ჩვეთაზე მცხოვრები მეზობლის ხელით.

ბავშვის მშობლებმა უარყვეს სასაზღვრო ინციდენტი და ბრალი დაგვედეს პროვოკაციაში. მაშინ დედაჩემმა გადაწყვიტა ფაქტებით ელაპარაკა საზღვარზე მეთვალყურეობა გააძლიერა.

ორი დღის შემდეგ ბავშვი დაკავებული იქნა ჩვენს ზონაში. მაგრამ მისმა მშობლებმა კვლავ ბრალი დაგვედეს პროვოკაციაში, თითქოს დედაჩემი იგი დაიჭირა საკუთარ ზონაში და გადმოიყვანა ჩვენს ზონაში. ამ გართულებას მოყვა მაგარი ჩხუბი, რომელსაც რამდენიმე საინი შეეწირა.

სამზარეულოში მუშაობა ძალზე გაჭირდა თანდათან მომწიფდა აზრი მისი გაერთიანების სახებ. გადაწყდა ჩატარებულიყო თათბირი ყველაზე ნეიტრალურ მეზობლებთან. თათბირი ორსაათს გრძელდებოდა და დამთავრდა კომპრომისულ დადგენილებით:

1. ამიერიდან გაერთიანდეს სამზარეულო მოისპოს ზონები.

2. სამზარეულოდან გატანილი იქნას ყოველგვარი ავეჯი.

3. შეწყდეს ერთმანეთის ლანძღვა-გინება.

4. მშობლებმა შეწყვიტონ პატარა ბავშვებზე შეზინება მეზობლებით.

5. აღდგენილი იქნას კულტურული ურთიერთობა მეზობლებს შორის [ეს ჯერჯერობით განსაზღვროს. ბავშვთა დელეგაციების გაცვლა-გამოვლით ტელეგადაცემების დროს].

6. აიკრძალოს ბავშვების შეგზავნა ოჯახებში დივერსიული და ჯაშუშური საქმიანობისათვის. მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებას დაემთხვა მეორე სასიხარულო ამბავიც: მე და ჩემი ცოლმა მივიღეთ ახალი ბინა.


ახალი ბინა! იცით რას ნიშნავს ახალი ბინა იზოლირებული ოთახები, საკუთარი აბაზანა, სამზარეულო. აღარ მოგვივა ჩხუბი მეზობლებთან სამზარეულოს გამო.



გადასვლისთანავე შაბანური დაგლოცეთ ახალი ჰერი და მთელი ხმით ჩაერთეთ მაგნიტოფონი ერთბაშად მოგვესმა საპროტესტო ხმა:

თუ შეიძლება, გამოთიშეთ მაგნიტოფონი, ბავშვები ძილი ნუ დაუფრთხეთ! — ერთბაშად დაგებნით და გვიან გამოვერკვეით, რომ ეს პროტესტი განაცხადეს მეზობელი ბინიდან, ხოლო ხმას, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, ატარებდა შენობის კედლები.

— როგორ ბედავთ ჩვენს ოჯახურ საქმეებში ჩარევას! — იქუხა ცოლმა და საგარეო საქმის ხელმძღვანელობა პირველსავე დღეს აიღო ხელში.

გ. ფანჯიკიძე





— მე კორესპონდენტი ვახლავართ, მახალა მჭირდება.
 — რომელს იწებებთ, ბატონო, ხუთი ნომრისას, რვისას
 თუ ოცდახამისას?
 თემა გ. მახარაძისა.

სტუმრად ბიძაჩემთან

— წავალ, ბიძაჩემს ბინის მიღებას მივულოცავ, — გადავწყვიტე და განზრახვა სისრულეში მოვიყვანე.

ახალი, მაღალი, ქათქათა სახლის კიბის საფეხურები მეექვსე სართულამდე ავირბინე. «პოლიბრონ ტივაძე» — ამოვიკითხე აბრაზე. სიმღერა შემომესმა. ხმაზე ვიცანი, ბიძაჩემი იყო:

ღობეზე ჩიტი შემოჯდა ასაკენკათათო,
 ჩიტსა ჯოხი წამოვკარი...

— არა, ჯოხისა და კეტის წამოკვრის დიონსი კი მართლა გლახაკო! კაცო, რომ წამოდრანცულხარ და მღერი, რა გამღერებს? — გამოეპასუხა ბიცოლაჩემი.

— თავი დამანებე, — შეუტია პოლიბრონმა. — ხომ ხედავ, სიმღერას ვსწავლობ, ოლიმპიადისათვის ვემზადები.

— რა ოლიმპიადის?

— პარიკმახერების ოლიმპიადა იქნება მალე და ჩვენც გამოვდივართ «ცეკვა სამართებლით», ასა! — დასძახა ბიძაჩემმა და კარის ჭუჭურუტანიდან დავინახე, როგორ დაუარა ირგვლივ.

— რაღა გიჭირს, საცეკვაოდ გაქვს, კაცო, საქმე? — არ ეშვებოდა ბიცოლა.

— ახალი ბინა მოგვცეს და აბა ვიტვირო, ქალო? ვოტ ტეზე ი ნა! «ორმოში ფეტვი ჩაყვარე», — განაგრძო სიმღერა ბიძაჩემმა.

— იმ ორმოში შენ ჩავარდნილიყავი, არ გერჩია? ბინა მოცეს! ბინა, თორემ, შენმა თავის გახეთქამ, ოთახებში ცხენი გაჭენდება. მოდი, მომეხმარე, კარადა შემოვიტანოთ.

— გაჩერდი, ადამიანო, რამდენჯერ უნდა ვცადოთ? რომ არ ეტევა კარებში, ვეღარ გაიგე? ვოტ ტეზე ი ნა!

— აბა, კაცო, სულ დერეფანში ხომ არ იდგმება... რად მინდა ისეთი ბინა, შიგ მაგიდა და კარადა თუ ვერ შევიტანე! — ცხარობდა მართა.

— მაგაზე კომენდანტმა ხომ გვითხრა; დაშალეთ, შეიტანეთ ოთახში და ისევ ააწყვეთო, — განუმარტა პოლიბრონმა.

— გაგიჟდი, კაცო? კარადის დაშლა ვინ გაიგონა, შენი სანადირო თოფი ხომ არ გგონია! არა, რომ მოკვდე, შე უხეირო, საიდან უნდა გაგაკვენონ?

— რაო? ამისთვის მკლავ, ქალო? — იყვირა პოლიბრონმა.

— კარგი, დაუშვათ, რომ მე მოგვკვდი პირველად.

— დავუშვათ კი არა, ეს ასე იქნება!

— რაღა გიჭირს... მერე, თოკით მიპირებ ფანჯრიდან ჩაშვებას, თუ?

— მართა, ოღონდ შენ მოკვდი და თოკს სულ არ ვიხმარ, ისე გადაგიშვებ მეექვსე სართულიდან.

— დაგაყარე ენაზე მიწა...

— მიწასაც იქვე დაგაყრიან, თუ წყალსადენის თხრილში ჩავარდი. ექვსი თვეა გათხრილია და, დიდი ხანია, აღარავინ ჩავარდნილა შიგ! არ გამომიყვანა მოთმინებიდან!

ვერ იქნა და ვერ გადავწყვიტე შიგ შესვლა, ისევ ყურისგდება ვამჯობინე.

— აქ მოეთრიე, ფანჯარა გამაღებინე, ჰაერი გავწმინდოთ, — არ ასვენებდა მეუღლეს მართა.

— ჰაერის გაწმინდას ეგ პირი გაიწმინდო, ის გირჩენია.

— მომეხმარე-მეთქი, არ იღება! — უთხრა მართამ და ორივენი ფანჯრის სახელურს ჩაეჭიდნენ.

მალე მინის მსხვრევის ხმა შემომესმა, ხოლო ხელში შერჩენილი სახელურით ცოლ-ქმარი იატაკზე გაგორდნენ.

— ჩემი სიკვდილი... ფანჯარა არ იღება, იატაკს გვალვით საგან დახეთქილ მიწასავით აქვს პირი დაბჩენილი, თავზე გაჯი გვაცვივა, კედელზე ლურსმანი მივაჭედე და სხვის ოთახში — სავარძელში მჯდომ მეზობელს შეერკო, ოთახში კარადა ვერ შევიტანე, რად მინდა ასეთი ბინა! — კაპასობდა მართა.

— დაბრუნდი, ბატონო, იმ სარდაფში, ვინ გიშლის მერე? ქალის გულს ვინ გააძლებს? — უყვიროდა პოლიბრონი.

უცტრად კიბეზე ვილაცა შავულვაშებიანი კაცი ამოვარდა, ხელი მკრა და ყვირილით შევარდა ბიძაჩემის ბინაში.

— ვინ გადელა ფანჯარა, ვინ გადელა ფანჯარა... ჩემი გოგოს ყუჩის ნადელი მოღვდა... ზღვირი გაუყრა... მილიზიაში ზამოდი... ვარა, ვარა, ვარა... ან მილიზია, ან ზღვირში ფული ფული უნდა მოგცე, — ყვიროდა მეეზოვე...

— რის ფული, რა მილიცია, რას ამბობ! ექვსსართულიან ბოდიშს ვიხდი, ბატონო, ამ მეექვსე სართულიდან, ქერიმ, და, მეტი რა ვქნა. ჯოხი დასწიე და ღვინო ასწიე, ქერიმ რა გვაქვს საჩხუბარი? — ამშვიდებდა პოლიბრონი.

ცოტა ხნის შემდეგ კარი გაიღო და შემთვრალი მეეზოვე მასპინძლებს დაემშვიდობა:

— შენ ალალი მეზობელი, მე კაი კაცი, კარგი მეზობელი კარგია... — და შემდეგ სიმღერით ჩაიარა კიბეები:
 ოლე დასმოლომნ შოლკე მშინა,
 ენ დხოპინა, ნორავინაააა...

— იოლად გადავრჩით, — ამოხვნეშით თქვა პოლიბრონმა.

— არა, ჯერ არ გადაჩენილხარ! — მიუგო მართამ და ტახტის ქვეშიდან ნაჯახი გამოიღო...

— რას მიპირებ, ქალო? — უღრიალა პოლიბრონმა.

— კარადის ნაცვლად ან შენ დაგშლი, ან კარი უნდა გავაგანიერო, — შესძახა მართამ, კარებს ეცა, გაალო და, ჰაერში-შემართული ნაჯახი რომ დავინახე, შევყვირე:

— რას შვრები, ბიცოლა... არ დალუბო... ბიძაჩემო...

ჩემს უცნაურ შეძახილზე ბიცოლას ისე შეეშინდა, რომ ახლა იმან დაიწყო კვილი. ბიძაჩემმა ხელი დამავლო და სასწრაფოდ შემავლო ოთახში.

— შენ ხარ, ყმაწვილო? მართა, «ვეძიეთ ლა ვპოვეთ...» არა, მთავრობისადმი მადლობის მეტი არაფერი მეტქმის... აი, ვინ არის დამნაშავე... ჩემო საყვარელო მისიშვილო, ბატონო არქიტექტორო, — მომიბრუნდა ბიძაჩემი — გარედან რომ ამ სახლს ზიზილპიპილები ჩამოაკიდეთ და სახურავზე ზარბაზნის ლულეები გამოაყუდეთ, შენ და შენისთანებმა კი მეტნით ყველაფერი დააკელით, ამ კიბეებზე ჯამბაზობა გვასწავლეთ, აქლემს რომ ნემსის ყუნწში გაძრომა მოუწოდებო, აქიდე ახლა ეს კარადა და ისე შემოიტანე, რომ არც კარადა გატყდეს და არც კარები! ვოტ ტეზე ი ნა!

ხმა ვერ ამოვიღე... მიტანილი საჩუქარი უხმოდ დავდე მაგიდაზე და საქმეს შევეუდექი.



— სანამ კამათი დაიწყებოდეს, საჭიროა განისაზღვროს რეკლამენტი.— თქვა კრების თავმჯდომარემ.

- ხუთი წუთი!
- სამი წუთი!
- ათი წუთი!— გაისმა შეძახილები.
- თავმჯდომარემ ზარი დააწკარუნა.
- მოითმინეთ, მოითმინეთ!— ასე არ შეიძლება, ასწიეთ ხელი და დაელოდეთ, სანამ სიტყვას მოგცემდეთ... ამხანაგო ჩხაიძე!
- ხუთი წუთი, — თქვა ჩხაიძემ.
- სხვა წინადადება ხომ არ არის?
- სამი წუთი, — მოითხოვა უკლებამ.
- კიდევ არის წინადადება?
- „შეწყდეს!“ — დაადგინა კრებამ.

— შემოსულია ორი წინადადება. — განაცხადა თავმჯდომარემ. — ვინ არის იმის მომხრე, რომ კამათში გამოსული ამხანაგებისათვის რეკლამენტი განისაზღვროს ხუთი წუთით?

ხუთწუთიან რეკლამენტს ხმა მისცა ოცდაათმა კაცმა, რომელთა შორის იყვნენ დირექტორი და თავმჯდომარე. მერე დათვალეს სამი წუთის მომხრეები. გამოირკვა, რომ აქაც ოცდაათ კაცს მიეცა ხმა. საჭირო გახდა ხელახალი კენჭისყრა. თავმჯდომარე ფხიანი კაცი იყო და, სანამ საქმეზე გადავიდოდა, საჭიროდ ცნო მოკლე შესავალის გაკეთება:

— სამი წუთი, — თქვა მან, — ძალზე ცოტაა ამ დიდმნიშვნელოვან, ღრმა პრინციპულ საკითხებზე საკამათოდ, რომლებიც ჩვენმა პატივცემულმა დირექტორმა წამოჭრა. გთხოვთ გაითვალისწინოთ მომენტის სერიოზულობა და საფუძვლიანად აწონ-დაწონოთ თქვენი პოზიციები კენჭისყრის საკითხში.

პოზიციების „აწონ-დაწონვას“ ათიოდე წუ-

თი მოანდომეს. ამან თავისი შედეგი გამოიღო და, მეორე კენჭისყრის დროს, უკვე ათმა კაცმა შეიკავა ოავი. მაგრამ, დარჩენილი ორმოცდაათი ხმა კვლავ შუაზე გაიყო.

თავმჯდომარემ და დირექტორმა რაღაცა მოითათბირეს, მერე დირექტორი ადგა და სიტყვა ითხოვა.

— ამხანაგებო! — პატეთიკურად დაიწყო მან. — რომ იცოდეთ, რარიგ ძვირფასია ახლა ჩემთვის თქვენი საქმიანი, მკაცრი, პირუთენელი შენიშვნების მოსმენა, ფუტე ყოყმანზე წუთსაც არ დაკარგავდით. მასების ხმა — ეს ხომ მაცოცხლებელი ჰაერია დირექციისათვის.

— ათი წუთი! — გააპო ჰაერი უგრეხელიძის ხმამ.

— წინადადებების შემოტანა უკვე დამთავრებულია, — თავზაიანად შეახსენა თავმჯდომარემ.

— მერე რა მოხდა! ჩვენ დავადგინეთ და, თუ საქმის ინტერესები მოითხოვს, ჩვენვე გადავადგინოთ, — გაჯიუტდა უგრეხელიძე.

თავმჯდომარემ მრავალმნიშვნელოვნად აღმართა მარჯვენა.

— გთხოვთ ყურადღებას! ამხანაგი უგრეხელიძის შენიშვნა არ არის საფუძველს მოკლებული, მაგრამ არც კრების დადგენილების შეცვლა შეგვიძლია. გამომდინარე აქედან, გირჩევთ: წამოყენებული სამი წინადადებებიდან უპირატესობა მისცეთ საშუალოს, ესე იგი, ხუთწუთიან რეკლამენტს.

თავმჯდომარის გონება მახვილური არგუმენტი იმდენად დამაჯერებელი აღმოჩნდა, რომ მისი წინადადება მიღებული იქნა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით.

თავმჯდომარემ შეგებით ამჯიშუნთქა.

— მაშასადამე, რეკლამენტის საკითხი გადაწყვეტილია და შეგვიძლია გადავიდეთ კამათების სურს გამოსვლა?

თავმჯდომარის სიტყვებს დარბაზი სამარისებური დუმილით შეხვდა. რეკლამენტზე დავით გამოწვეული ალტკინება საოცარმა გულგრილობამ და უდარდებლობამ შეცვალა. თავმჯდომარე მიხვდა, რომ ნებაყოფლობის პრინციპი აღარ გამოადგებოდა და აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა.

— ამხანაგო ჩხაიძე, გთხოვთ!

— ოჰ, არა! — ხელი გაასავსავა ჩხაიძემ. — მე არაფერი მაქვს სათქმელი.

— იქნება უკლებამ გვეითხრას რამე!

— დირექტორის ნათქვამს ვერაფერს დავუმატებ, — მთწარებით მიუგო უკლებამ.

— ამხანაგო უგრეხელიძე, თუ არ ცდები, თქვენ რაღაცა გინდოდეთ გამოგთქვათ?

— მე?.. არაფერი. მე მიწოდდა სხვებისთვის მომესმინა. პირადად ჩემთვის ყველაფერი ნათელი და გასაგებია, — ჩაიბუტბუტა უგრეხელიძემ და თავი მხრებში ჩარგო.

— თამამად, ამხანაგებო, თამამად! — შესძახა სასოწარკვეთილებამდე მისულმა თავმჯდომარემ და უცქრად თვალში სიხარულისაგან გაუბრწყინდა. როცა უგრეხელიძის აწვდილი ხელი დაინახა, — ბრძანეთ, ბრძანეთ!

— ბატონებო, — დინჯად დაიწყო უგრეხელიძემ. — თქვენს მთელი საათი რეკლამენტზე ვკამათობთ, თუ თითოეულ მოკამათებე საშუალოდ ხუთ წუთს ვინაგარიშებთ, მაშინ ამ ხნის განმავლობაში, ათი-ორმოცი კაცი მოასწრებდა გამოსვლას. ჩემი წინადადება იქნება, კამათი შეწყდეს.


ამჯერად, წინადადება ერთხმად იქნა მიღებული.

კრების მდივანი მე გახლდით და ოქმში ჩავწერე;

— „მოსხენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: ჩხაიძემ, უკლებამ, უგრეხელიძემ და სხვებმა...“

გ. შარაშიძე

ნახ. ნ. შალაზოიანი



საზაფხულო დადგმა ზოგიერთ სასოფლო კლუბში.

ქელოვიანი

შვილიშვილი

ბებიას ქელებზე სუფრა ხიზილალითაც იყო დამზენებული.


— რომელი ხიზილალა გადმოგიღო, წითელი თუ შავი, — მიმართეს შვილიშვილს.

— რა თქმა უნდა, შავი, მე ხომ მგლოვიარე ვარ.


გ. დოლიძე

მოძიენი ქაქია

ცოლს მოჰყვა მზითვად სიდედრი,
ენამწარე—ჯიშითა,
ღვინო ვერ დამიღვეია
კაცთან მისი შიშითა.



თუ ვაღირსე მოფერება,
მიბასუხებს იმ წამში:
«შენი კუბო გავიტანე,
შენ ჩაგდევი მიწაში!»



ნაბიჯი ვერ გადამიდგამს
მისი «ვიზის» გარეშე,
აღარ ვიცი, ქმარი ვარ თუ
ცოლის ხელისფარეში!

დედაჩემი გაიხადა
შინამოსამსახურედ!
ოჯახს სიდედრი განაგებს,
მე ლეჩაქი დამხურავს!



და ჩემს სახლში; შრომისაგან
მოქანცული, დაღლილი,
კუთხეში თუ მივეგდები
უბატრონო ძაღლივით.



მაგრამ ისევ მოთმინებით
ენას კლიტე დავადე,
ექვსი და ჰყავს და არ მინდა
იმათ ყბაში ჩავეარდე!

ს. აბაიშვილი


ქართული ნუსხე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საწყობის გამგე მეზობლებს იკლებდა, მეზო-
ბლები კი ამბობდნენ: არაფერსაც არ იკლებსო.
საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა და მაინც
გაიძახოდა: მეზობლებთან არაფერი მაქვს საერ-
თოთ.
მუდამ უმარილო კერძებს ამზადებდა, საჩივრის
წიგნში კი უწერდნენ: მზარეული ამლაშვებსო.
ქმარს გული სტკიოდა და ცოლი თვალებს
უხვევდა.
სელექციონერს ისეთი ჯიშები გამოჰყავდა, რომ
ბალზე იჯდა და ტყემალს ჭამდა.

გ. კლდიაშვილი.

ნიანგო, ნუ!



სანატრელო ნიანგო!

გორის რაიონის სოფელ ქვახრელიდან გემულა-
რება ხახამშრალთა ათასკომლიანი ლაშქარი, მო-
წყალე თვალები მოგვაპყრო და ყოვლისშემძლე ხმა
აღიმაღლო დიდი ხნის მოწყურებულთა დასაოკებ-
ლად.

ხუთი-ექვსი წელი გავიდა მას მერე, რაც ჩვენს
სოფელში წყალი გამოიყვანეს, ონკანებიც დადგეს
და გვეგონა, გვეშველა, უკვე აღარ გაიმართება
რიგები, გორიდან კოკებით აღარ მოგვიხდება ამ
სასიამოვნო სითხის მოზიდვა, მტკვრის მღვრიე
წყალს სამუდამოდ დავეულოცავთ გზას და ნამდ-
ვილად ადამიანურად ვიცხოვრებთო, მაგრამ, ყვე-
ლაფერს ბედი უნდა, ონკანები აღარ გამოგვადგა,
კუჭი გაუნმათ, დღე ერთია და, სათანადო ცოდნა
გაგვაჩნია თუ არა, წარამარა დაგვტრიალებთ თავ-
ზე, ვუღლებთ და ვუღლებთ კუჭის წვეს, მაგრამ ათას-
ში ერთხელ თუ წამოვა წვეთ-წვეთად და, მაშინაც,
ერთი მეორეს ვეცილებით, არადა მე უფრო მწყუ-
რია და არადა შერო.

სანატრელო ნიანგო, როგორმე გაგვაგებინე,
უწყლობით როდემდე უნდა გაგვიწყალონ გული.

ბაბირვეზის ტალკვესო!

თბილისის ბოტანიკური ბაღის შესასვლელ გვი-
რანთან ოდესღაც წყარო იყო და მოჩუხჩუხებდა
მუქთად. ვინც გვირანით შედიოდა ბაღში, ამ



წყლით ივრილებდა სახეს, სვამდა და ლოცვა-კურ-
თხევით იხსენიებდა მის გამოწყვანს. იგი ლომის
პირიდან გადმოჩქეფდა მეფური ზვიადობით. მერე
იფიქრეს, ლომი ცხოველთა მეფეა, რუსეთის მეფეც
ჩამოვადგეთ და ქვის ჩამოგდებას რა უნდაო, მოთ-
ხარეს და გადააგდეს, ხოლო წყალი ძირს, ენგელ-
სის ქუჩაზე ჩამოიყვანეს, საგანგებო ჩარჩოში ჩაუ-
სვეს მილი და მოჩუხჩუხებდა ერთხანს ჩვეული
მონდომებითა და ენერგიით... და მერე... მერე
არავინ იცის რა მოხდა... იყო წყალი და აღარ
არის წყალი... გაქრა, ვითარცა ხმა მლაღადებლი-
სა უდაბნოსა შინა... ცამ ჩაყლაპა, თუ მიწამ, ვე-
რავინ გაიგო... მაგრამ, სამაგიეროდ, იყო ჩარჩო
და დარჩა ჩარჩო, იყო მილი და არის მილი—ჩა-
ქანგებული და ხახამშრალი, მაგრამ, საქმე ისაა
რომ იყო წყალი და აღარ არის წყალი, აღარ
არის წყალი და ჩივიან მცხოვრებლები და მოით-
ხოვენ, რომ კალინინის რაიონის რაიადმასკომმა
გადეზერტირებული წყალი დააბრუნოს მიწის ზე-

დაპირზე: ეყოფა რაც ისიმულიანება უხლა, კეთილ
ინებოს და ხალხს მოემსახუროს თორემ ისე გა-
უხდით მაგ წყალს საქმეს, რომ არ იცოდეს რა
წყალში გადავარდესო.

მგობარო ნიანგო!

რა დაგვიშავებია? ნუთუ იმას გვითვლიან და-
შაგებდა, რომ შავ წყვედიადასა ვვანტავთ?

არაგვიანი არავის წყალი პოუზიისთვისაა კარ-
გი, თორემ დასაღვეად არცთუ ისე სასიამოვნოა
და ეს განსაკუთრებით მაშინ, როცა აღიდებული
მოაგელვებს შლამსა და ქვიშას, ღორღსა და ნე-
შომბალას.

ქინვალტესელებს ნუ მოწყურდებათო და წყლის
გამოსაყვანად ყოველწლიურად იხარჯება ფული,
მაგრამ სასმელი წყალი ცამ ჩაყლაპა თუ დედამი-
წამ, ვერავინ გაიგო და ჩვენც ვერ გავიგეთ, მეგო-
ბარო ნიანგო.

ქინვალტესმა ამ რამდენიმე წელიწადში სამი დი-
რექტორი გამოიცვალა, მ გრამ უწყლობა ისევ
უსცვლელი დარჩა და, ველ. რ. გავიერკვევია, რა შე-
ცვლის ამ მდგომარეობას.

იქნება შენ ჩაერიო და ქინვალტესელთა სასმელი
წყლით მომარაგების წყალ-წყალა გადაწყვეტილ-
ბებს წყალი შეუყენო.

უწყალოდ მიწყურებული

რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: ა. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე,
ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. კელიძე.

საქ. კვ. ცენტრალური
კომიტეტის
გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ეურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“.
რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—3-76-69, საერთო განყოფილების—3-10-49.

გამომც. № 14. ხელშ.წ. დასაბ. 12/VII-1960 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა
რაოდენობა 1, ხელნაწერები, ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14 №გ. № 1199 უფ. 03716. ტირ. 40.000

ვაშინგტონის «გლობალურ სტრატეგიას» თანდათან ეცლებოდა საყრდენი ბოძები. მთავარ დასაყრდენ ბოძს შუაღმოსავლეთში თურქეთის ყოფილი პრემიერი ედნან მენდერესი წარმოადგენდა, ის პირველი არ იყო იმ სიაში, ვისაც ვაშინგტონში «თავის კაცად» თვლიდნენ. მასზე ადრე ავარია განიცადეს ხიმენესმა, ბატისტამ, ნური საიდმა, ლი სინ მანმა.

ქვეყნული

გაზეთებიდან



შინ ანის უმღებო?